საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 675
2007 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის მე–4 პუნქტის, 26–ე მუხლის პირველი პუნქტის „ჰ5“ ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სრული ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში, მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა ამ ბრძანების N2 დანართის შესაბამისად;

2^1. დამტკიცდეს განვითარების შეფერხების, სენსორული, ქცევისა და ემოციური დარღვევის მქონე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიერ სპეციალიზირებულ სკოლებში ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი №3-ის შესაბამისად; *(27.05.2011 N 94/ნ)*

3. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სრული ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ცალკეულ კლასში მოსწავლის გადასვლისას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი, რომლიდანაც მოსწავლე გადადის, ვალდებულია მოითხოვოს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის მიერ გაცემული თანხმობა, რომელშიც გადადის მოსწავლე და რომლითაც დასტურდება ამ მოსწავლის ჩარიცხვის შესაძლებლობა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ლომაია

დანართი N1

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა

1. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციასა და აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78–ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს;

2. დაბადების მოწმობის დედანი რომელიც მოსწავლის ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში ინახება დაწესებულებაში და რომლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან გატანა დასაშვებია მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების საფუძველზე არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დაბადების მოწმობის სანოტარო წესით დამოწმებული ასლის წარდგენის შემთხვევაში.

3. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ან მისი ტერიტორიული სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება საქართველოს მოქალაქეობის, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ან ბინადრობის მოწმობის მქონე მოსწავლისათვის პირადი ნომრის მინიჭება; *(27.05.2011 N 94/ნ)*

დანართი N2

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სრული ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში, მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა

1. სრულწლოვანი მოსწავლის, ხოლო არასრულწლოვანი მოსწავლის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს სრულწლოვანი მოსწავლის ან/და არასრულწლოვანი მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციასა და აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78–ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს;

2. დაბადების მოწმობის დედანი, რომელიც მოსწავლის ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში ინახება დაწესებულებაში და რომლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან გატანა დასაშვებია სრულწლოვანი მოსწავლის ან არასრულწლოვანი მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების საფუძველზე არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დაბადების მოწმობის სანოტარო წესით დამოწმებული ასლის წარდგენის შემთხვევაში;

3. იმ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ იმ სახის განათლების მიღებას, რომელიც წინ უძღვის ჩასარიცხი კლასის განათლებას.

3[1]. სპეციალიზირებული სკოლებიდან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაწყებით და საბაზო საფეხურის ცალკეულ კლასში ჩასარიცხად ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის გარდა საჭიროა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არსებული, შესაბამისი სპეციალისტებისაგან შემდგარი ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომში – მულტიდისციპლინური გუნდი) გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება აღნიშნული მოსწავლის მიერ სიძნელეების დაძლევა, რის გამოც მას არ სჭირდება სპეციალიზირებულ სკოლაში სწავლა; *(27.05.2011 N 94/ნ)*

4. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ან მისი ტერიტორიული სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება საქართველოს მოქალაქეობის, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ან ბინადრობის მოწმობის მქონე მოსწავლისათვის პირადი ნომრის მინიჭება; *(27.05.2011 N 94/ნ)*

დანართი №3 *(27.05.2011 N 94/ნ)*

განვითარების შეფერხების, სენსორული, ქცევისა და ემოციური დარღვევის მქონე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიერ სპეციალიზირებულ სკოლებში ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაციას და აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს; ან/და იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართვა, სადაც ირიცხება მოსწავლე.

2. დაბადების მოწმობის დედანი, რომელიც მოსწავლის ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში ინახება დაწესებულებაში და რომლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან გატანა დასაშვებია მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების საფუძველზე არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დაბადების მოწმობის სანოტარო წესით დამოწმებული ასლის წარდგენის შემთხვევაში.

3. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ან მისი ტერიტორიული სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება საქართველოს მოქალაქეობის, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ან ბინადრობის მოწმობის მქონე მოსწავლისათვის პირადი ნომრის მინიჭება.

4. ცნობა მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ.

5. სენსონური დარღვევის მქონე მოსწავლის შემთხვევაში, ამ დანართის პირველი, მე-2 მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა:

ა) აუდიოლოგის დასკვნა სმენის დარღვევის ხარისხის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის საფუძველზე მოსწავლის ორივე ყურის სმენის ზღურბლი არის 50 დეციბილზე ქვემოთ, მაშინ ასეთი მოსწავლის ჩასარიცხად საჭიროა მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გაიცემა მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ან იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართვიდან ერთი თვის ვადაში, სადაც ირიცხება მოსწავლე;

ბ) ოფთალმოლოგის დასკვნა მხედველობის ხარისხის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის მხედველობის დარღვევის ხარისხი უკეთესად მხედველი თვალით აღემატება 20%-ს, მაშინ ასეთი მოსწავლის ჩარიცხვისათვის საჭიროა მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილება მოსწავლის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გაიცემა მოსწავლის კანონიერი წამომადგენლის ან იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართვიდან ერთი თვის ვადაში, სადაც ირიცხება მოსწავლე.

6. განვითარების შეფერხების მქონე მოსწავლის შემთხვევაში, ამ დანართის პირველი, მე-2 მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა: მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილება მოსწავლის შემეცნებითი ფუნქციებისა და ადაპტური ქცევის დეფიციტის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება გაიცემა მოსწავლის კანონიერი წამომადგენლის ან იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართვიდან ერთი თვის ვადაში, სადაც ირიცხება მოსწავლე.

7. ქცევისა და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლის შემთხვევაში, ამ დანართის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილება მოსწავლის ქცევითი აშლილობისა და ოპოზიციურ-დევიანტური ქცევის შესახებ.

8. მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შემთხვევაში, იმ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ იმ სახის განათლების მიღებას, რომელიც წინ უძღვის ჩასარიცხი კლასის განათლებას. ასევე მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს აღნიშნული მოსწავლისათვის განათლების მიღებისათვის შესაბამისი ფორმის შერჩევის საჭიროებას.

9. სპეციალიზირებული სკოლების პანსიონურ ნაწილში ჩაირიცხება მოსწავლე, თუ მოსწავლის ოჯახი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცმთა ბაზაში", ან/და მოსწავლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ აღიარა ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად; ან/და მოსწავლე, რომლის მშობელს (მშობლებს) ჩამოერთვა (ჩამოერთვათ), შეუჩერდა (შეუჩერდათ) ან შეეზღუდა (შეეზღუდათ) მშობლის

უფლებები და მოვალეობები კანონმდებლობით დადგენილი წესით; ან/და მოსწავლე, რომელიც არის ობოლი ან რომელიც აღიარებულია მიტოვებულ ბავშვად, ან/და მისი დატოვება მშობელთან (მშობლებთან) ან მეურვესთან/მზრუნველთან მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით მისთვის საზიანოა; ან/და მოსწავლე, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ მდებარეობს იმ ქალაქში/მუნიციპალიტეტში, სადაც მდებარეობს სპეციალური პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. აღნიშნული გარემოების/გარემოებების არსებობის შემთხვევაში, მოსწავლის ჩარიცხვა ხორციელდება შესაბამისი გარემოს/გარემოებების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.